ევროკავშირი საქართველოსთვის

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KFW


აჭარის წყლის ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 75 ოქტომბერი / 2026

შავი ზღვის დაცვის დღე და აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის წვლილი გარემოს დაცვაში

ყოველწლიურად, 31 ოქტომბერს, **შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღე** აღინიშნება, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს შავი ზღვის ეკოსისტემის დაცვისა და მისი უნიკალური ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების მნიშვნელობას.





საქართველოსთვის შავი ზღვა ეკოსისტემის, ტურიზმის, რეგიონის ეკონომიკის და ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია ზღვის არამხოლოდ სანაპირო ზოლის დაცვა, არამედ მისი დაბინძურების ერთ-ერთი წყაროს, გაუწმენდავი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა.



აჭარაში გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა. პროექტი აჭარის დაბებსა და 39 სოფელში ცენტრალური და დეცენტრალური წყალარინების სისტემების მოწყობას ითვალისწინებს, რაც ხელს შეუწყობს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვებასა და სათანადო გაწმენდას.

გამართული წყალარინების ინფრასტრუქტურა ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკებს და ქმნის წყლის რესურსების დაცვის წინაპირობას.

შავი ზღვის დაცვის დღე 1996 წლიდან აღინიშნება და სტრატეგიული გეგმის მონაწილეები შავი ზღვის აუზის ქვეყნებია. შავი ზღვის დაცვა საერთო პასუხისმგებლობაა. გამართული წყალარინების სისტემები და ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა ამ პასუხისმგებლობის პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილია.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.


Funded by the European Union

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 75 October / 2026

THE INTERNATIONAL BLACK SEA DAY AND THE CONTRIBUTION OF THE AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAM TO ENVIRONMENTAL PROTECTION

The International Black Sea Day is celebrated annually on 31 October, reminding us of the importance of protecting the Black Sea ecosystem and preserving its unique natural resources.





For Georgia, the Black Sea is an integral part of its ecosystem, tourism, regional economy, and history. It is important not only to protect the coastal areas but also to properly manage the sources of marine pollution, untreated domestic wastewater.



The Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program plays a crucial role in environmental protection in Ajara. The project involves the construction of centralized and decentralized wastewater systems in semi-urban areas of Ajara and 39 villages, which will help ensure the collection and proper treatment of domestic wastewater.

Well maintained wastewater infrastructure reduces the risk of environmental pollution and helps safeguard water resources.

International Black Sea Day has been celebrated since 1996. The countries of the Black Sea basin are participants in the Strategic Action Plan for the Protection and Rehabilitation of the Black Sea. Protecting the Black Sea is a shared responsibility. Properly functioning wastewater systems and effective wastewater management are essential practical measures in fulfilling this responsibility.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.